

დამატებითი მომსახურების „დავალიანების გადანაწილება“ პირობები

1. ოპტიკური (GPON/P2P) მომსახურებების, კერძოდ, ინტერნეტ და/ან სილქ ტვ მომსახურებების, ასევე ორმაგი, სამმაგი, ს1 სამმაგი და ოთხმაგი შეთავაზებების მიმღებ ფიზიკურ პირ აბონენტებს, შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ დამატებითი მომსახურებით - „დავალიანების გადანაწილება“ (შემდგომში „დავალიანების გადანაწილება“), რომლის ფარგლებშიც, „აბონენტის“ მიერ დამატებითი მომსახურების ღირებულების წინასწარ, ერთჯერადად გადახდის შემდგომ, „აბონენტი“ დავალიანებას დაფარავს 10 (ათი) კალენდარულ თვეზე თანაბრად გადანაწილებული თანხის სს „სილქ როუდ ბანკისათვის“ ყოველთვიური გადახდით (სს „სილქნეტისა“ და სს „სილქ როუდ ბანკის“ ერთობლივი პროდუქტის ფარგლებში). „დავალიანების გადანაწილების“ მომსახურების გააქტიურების შემდგომ, „სილქნეტის“ სააბონენტო ანგარიშზე აბონენტს აღარ დაუფიქსირდება დავალიანება.
2. აბონენტს „დავალიანების გადანაწილების“ დამატებითი მომსახურებით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისარგებლა „დავალიანების გადახდის გადავადების“ დამატებითი მომსახურებით და ერიცხება სააბონენტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადავადებული და მიმდინარე გადასახდელები (დავალიანება).
3. აბონენტს „დავალიანების გადანაწილების“ მომსახურების გააქტიურება შეუძლია დავალიანების დაანგარიშებისა და მოკლე ტექსტური შეტყობინებით (შემდგომში „სმს შეტყობინება“) დამატებითი მომსახურების აქტივაციის კოდის მიღების შემდეგ: ა) სააბონენტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადავადებული და მიმდინარე გადასახდელების (დავალიანების) ჯამურად გადახდის თარიღამდე ან ბ) გადახდის თარიღის დადგომის (მომსახურებების შეზღუდვის) შემდგომ (ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მოხდება შეზღუდული მომსახურების/ების აღდგენა).
4. „დავალიანების გადანაწილების“ დამატებითი მომსახურებით სარგებლობის ღირებულება განისაზღვრება დავალიანების გადასანაწილებელი თანხის 20% (ოცი პროცენტის) ოდენობით, რომელსაც „აბონენტი“ უხდის „სილქნეტს“, წინასწარ, სრულად და ერთჯერადად.
5. „დავალიანების გადანაწილების“ მომსახურების ღირებულებაზე ნაკლები თანხის შეტანის შემთხვევაში, არ მოხდება „დავალიანების გადანაწილების“ მომსახურების გააქტიურება და ასეთ დროს შეტანილი თანხა აისახება „სილქნეტის“ სააბონენტო ანგარიშზე (მოხდება მომდევნო თვეში შესატანი თანხის პროპორციულად შემცირება).
6. დავალიანების სრული ღირებულების ტოლი ან მეტი თანხის შეტანის შემთხვევაში, არ მოხდება „დავალიანების გადანაწილების“ მომსახურების გააქტიურება და ასეთ დროს შეტანილი თანხით სრულად დაიფარება მიმდინარე დავალიანება.
7. იმ პერიოდში, როდესაც აბონენტი სარგებლობს „დავალიანების გადანაწილების“ დამატებითი მომსახურებით, მისთვის ხელმისაწვდომი არ იქნება „დავალიანების გადახდის გადავადების“ დამატებითი მომსახურება.
8. „დავალიანების გადანაწილების“ მომსახურების გააქტიურება შესაძლებელია სხვადასხვა საგადახდო სისტემების მეშვეობით დისტანციური გარიგების დადების გზით, რა დროსაც აბონენტთან იდება „სს „სილქნეტისა“ და სს „სილქ როუდ ბანკის“ ერთობლივი პროდუქტით „დავალიანების გადანაწილება“ სარგებლობის შესახებ შეთანხმება“, რომელიც ძალაშია სააბონენტო ხელშეკრულებასთან ერთად. ელექტრონული ფორმით შედგენილ ზემოხსენებულ დოკუმენტს გააჩნია მატერიალურად შედგენილი დოკუმენტის იურიდიული ძალა, ხოლო აბონენტის მიერ შეთანხმების პირობებზე დათანხმებას - ხელმოწერის იურიდიული ძალა.
9. წინამდებარე შეთანხმების ბეჭდური ვერსიის მიღება შესაძლებელია სს „სილქნეტისა“ და სს „სილქ როუდ ბანკის“ ოფისებში.
10. „სს „სილქნეტისა“ და სს „სილქ როუდ ბანკის“ ერთობლივი პროდუქტით „დავალიანების გადანაწილება“ სარგებლობის შესახებ შეთანხმების“ ირგვლივ არსებული დავები გადაწყდება სასამართლო წესით.